ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
Literature and Literary Theory

ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ პრობლემატიკის გააზრებისთვის

ნანა ფრუიძე
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ელ. ფოსტა: nan.pruidze@ug.edu.ge
ORCID: 0009-0003-0358-2974
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.15
SJIF 2026: 8.679

ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ ხშირად განიხილება სოციალური უთანასწორობის, ბატონყმობის ნაშთებისა და ეროვნული ტკივილების კონტექსტში, მაგრამ ამ თხზულებაში ავტორი უდავოდ აყენებს ქალის მდგომარეობის, მისი უუფლებობის საკითხსაც.

პირველ რიგში, ამ მოთხრობაში ვხედავთ უსიყვარულოდ დარჩენილი საზოგადოების ტრაგედიას. ტრაგედიას ადამიანებისა, რომლებიც თავს ქრისტიანული რწმენის აღმსარებლებად მიიჩნევენ, მაგრამ წარმოადგენა არ აქვთ, რას ნიშნავს უფლის, მოყვასის და, ზოგადად, ადამიანის სიყვარული. სიტყვა სიტყვად რჩება და მას საქმე, როგორც წესი, არ მოსდევს.

ილია ნაწარმოებში ძალიან კომპლექსურად აჩვენებს, თუ როგორ ითრგუნება ქალი არა მხოლოდ მამაკაცების, არამედ ზოგჯერ იმავე დამონებული საზოგადოების შიგნით არსებული მყარი, ბრმა ტრადიციების მიერ. ქალის მიმართ ძალადობა აქ არ არის გამონაკლისი - ის ნორმაა, რომელსაც სოციალური წესრიგი ამართლებს.

ილია „გლახის ნაამბობში“ მხოლოდ ზოგად სოციალურ უსამართლობაზე როდი საუბრობდა - მან ერთ-ერთმა პირველმა დაინახა ის ღრმა გენდერული ტრაგედია, რომელიც მომდევნო ათწლეულების ქართულ რეალიზმში მთავარ მტკივნეულ თემად იქცა.

ილია ჭავჭავაძის ,, გლახის ნაამბობში“ თამროს ხვედრი ქართულ რეალისტურ პროზაში ქალთა საკითხის საწყისი ხაზია. მიუხედავად იმისა, რომ ილიასთან თამროს ბედი უცნობი რჩება, ტექსტის შინაგანი ლოგიკა და ეპოქის დაუნდობელი სოციალური წნეხი მკითხველს ზუსტად იმავე ტრაგიკულ ფინალს უწინასწარმეტყველებს, რასაც ათწლეულების შემდეგ ეგნატე ნინოშვილი სრული მხატვრული დამაჯერებლობით აჩვენებს ,,ქრისტინეში“. თამრო და ქრისტინე ერთი და იმავე პატრიარქალური და სოციალური მანქანის მსხვერპლნი არიან - ქალები, რომლებსაც სისტემა არა მხოლოდ არ იცავს, არამედ კოლექტიური მსჯავრითა და თანაგრძნობის სრული დეფიციტით საბოლოოდ განწირულებისკენ უბიძგებს. ბოროტების ბოროტებით

დამარცხების მცდელობა კი მხოლოდ აგრძელებს ძალადობის იმ ჯაჭვს, რომელიც საბოლოოდ ანადგურებს როგორც ინდივიდს, ისე - მთელ საზოგადოებას.

საკვანძო სიტყვები: *ილია ჭავჭავაძე, ქალთა საკითხი, ქრისტიანული ზნეობა.*

„გლახის ნაამბობს“ ილია „თავის პირმშო ძეს“ უწოდებდა. გარემოებამ ისე მოიტანა, რომ ამ თხზულებაზე მუშაობა ავტორს ერთობ გაუგრძელდა, თუმცა, მისივე თქმით, სათქმელი ამომწურავად გადმოსცა: **„რაც მინდოდა, იმას კი ვიტყვი ჩემს გლახის ნაამბობში და კარგად ვიტყვი თუ ცუდად, ამის დარდი ბევრი არ მაქვს“** (ჭავჭავაძე, 1964: 28). რასაკვირველია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ილიასათვის მართლაც არ იყო მნიშვნელოვანი, რამდენად კარგად იტყოდა სათქმელს; თხზულების ხელნაწერების შესწავლა და ნაირწაკითხვებისათვის თვალის მიდევნება გვარწმუნებს, თუ რამდენად გულდასმით მუშაობდა ავტორი ტექსტის დახვეწაზე და როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს. ზემოთ დამოწმებული ფრაზა მისთვის ჩვეული თავმდაბლობით უნდა ავხსნათ;

ილიამ ჯერ კიდევ 1858 წელს დაიწყო მუშაობა მოთხრობაზე სახელწოდებით „კოლა“, რომელიც სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული „გლახის ნაამბობის“ წინამორბედად. კოლა იგივე დათიკოა, ამდენად, როგორც სათურიდანაც ჩანს, მთავარი აზრობრივი აქცენტი სწორედ ამ პერსონაჟზე ჰქონდა გათვლილი ავტორს. მოთხრობა დაუსრულებელი დარჩა, თუმცა მასში უკვე არიან „გლახის ნაამბობის“ სხვა პერსო-ნაჟებიც - ზაქრო, იგივე გაბრიელი და დათო, იგივე პეპია. შემორჩენილია „კოლას“ მეორე ვარიანტიც, რომელშიც თხრობა უფრო დეტალიზებულია და გამოკვეთილია კოლას მანკიერი თვისება - ქალებისადმი გადამეტებული ინტერესი. „კოლას“ მეორე ვარიანტი, სამეცნიერო წრეებში გაზიარებული შეხედულების თანახმად, 1859 წლისთვის დასრულებული უნდა ყოფილიყო და მისი მთავარი მიზანდასახულება, ერთი მხრივ, ადამიანის ზნეობაზე ბატონყმობის დამღუპველი გავლენა და, მეორე მხრივ, არასწორი აღზრდისა და გაუნათლებლობის შედეგად მისი გადაგვარების ჩვენება უნდა ყოფილიყო.

ტექსტზე მუშაობის შემდგომ ეტაპზე იკვეთება, რომ ავტორმა თავდაპირველი ჩანაფიქრის რამდენადმე ტრანსფორმირება განიზრახა, რასაც სათაურის ცვლილება ადასტურებს. მოთხრობის ამ ვარიანტს „კაკო“ ჰქვია. მასში ვეცნობით კოლას მშობლებს - თავად ლუარსაბ თათქარიძესა და მის მეუღლე ქეთევანს. მათი ერთადერთი ვაჟის, კოლას თანშეზრდილი კი ობოლი გლეხის ბიჭი კაკოა (იგივე გაბრიელი). ლ. მინაშვილის დაკვი-რვებით, „ამ ვარიანტის ჩვენამდე მოღწეული ნაწილიდან სრულიად ცხადად იკვეთება, რომ მომავალი „გლახის ნაამბობი“ 1859 წლისთვის მწერალს მთლიანად აქვს მოფიქრე-ბული, მაგრამ თუ არ მიჰყავს მოთხრობის შექმნა ბოლომდე, მხოლოდ იმიტომ, რომ მუშა-ობის პროცესში წარმოჩნდა ახალი თემები, მოტივები, რომელნიც უკვე დამოუკიდებელ ღირებულებას იძენენ, თავისთავად განსახიერებას მოითხოვენ“ (მინაშვილი, 1995: 376). ჩვენი მხრიდან კი იმას დავამატებდით, რომ თუ ილია ჩანაფიქრს პირვანდელი სახით ბოლომდე დაამუშავებდა, ყველა თემას გაშლიდა და დამატებით პერსონაჟებსაც შემოიყვანდა თხრობაში, მაშინ მოთხრობა კი არა, რომანი უნდა დაეწერა. ასეთ ვრცელ პროზაულ თხზულებაზე მუშაობას სხვაგვარი მოცლა სჭირდებოდა, რისი ფუფუნებაც მას არ ჰქონდა; ვფიქრობთ, ამიტომაც „დაშალა“ თხზულება და ორ დამოუკიდებელ მოთხრობად აქცია.

„კაცია-ადამიანი?!“ გაცილებით ადრე დაიწერა და 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა კიდეც, „გლახის ნაამბობი“ კი დასრულებული სახით მკითხველმა მხოლოდ ათი წლის შემდეგ, 1873 წელს ჟ. „კრებულის“ ფურცლებზე იხილა. ამ პერიოდში ილია მეუღლეს ატყობინებს: „გლახის ნაამბობი“ გავათავე და იბეჭდება კიდეც. დაბეჭდილს გამოგიგზავნი. ზოგიერთი ადგილები მგონია კარგი გამოვიდა. ამას კი გეტყვი, **რომ მაგის გათავებაზედ გული აღარ მიმწევდა, მაგრამ როგორც იყო, გავათავე და გულიდამ თითქოს ლოდი მომეხსნა**ო“ (ჭავჭავაძე, 1964: 260). რატომ აღარ მიუწევდა გული ილიას ამ მოთხრობაზე სამუშაოდ? სავარაუდოდ, ამისათვის რამდენიმე მიზეზი არსებობდა. ჯერ ერთი ის, რომ „კაცია-ადამიანში?!“ მან უკვე არაჩვეულებრივად წარმოაჩინა ბატონყმობის მთელი საშინელება, მეორეც, როცა ის „გლახის ნაამბობს“ მიუბრუნდა, ანუ 1872 წლის 9 დეკემბერს, ბატონყმობა კარგა ხნის გადავარდნილი იყო და, მაშასადამე, საკითხიც აღარ იყო აქტუალური (ჭავჭავაძე, 1964: 28). ანუ ავტორი სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა: მას ისე უნდა შემოეტრიალებინა თხრობა, რომ მთავარი სათქმელი და აქცენტები განსხვავებულად გადანაწილებულიყო. უნდა ითქვას, რომ ილიამ ეს შესანიშნავად მოახერხა.

„გლახის ნაამბობის“ საბოლოო ვერსია ქრისტიანული ზნეობის საკითხებს ეხება; ესაა, პირველ რიგში, უსიყვარულოდ დარჩენილი საზოგადოების ტრაგედია. ტრაგედია ადამიანებისა, რომლებიც თავს ქრისტიანული რწმენის აღმსარებლებად მიიჩნევენ, მაგრამ წარმოადგენა არ აქვთ, რას ნიშნავს უფლის, მოყვასის და, ზოგადად, ადამიანის სიყვარული. სიტყვა სიტყვად რჩება და მას საქმე, როგორც წესი, არ მოსდევს. ეს პრობლემა „კაცია-ადამიანშიც“ არის წამოჭრილი და უსიყვარულობა „თათქარიძეობის“ ერთ-ერთ არსებით მარკერად მიიჩნევა. ამ მოთხრობაში არავის არავინ უყვარს: არ არსებობს ძმური სიყვარული - ლუარსაბსა და დავითს ერთმანეთისათვის კარგი არაფერი ემეტებათ და რაღა უნდა მოვთხოვოთ რძლებს, დარეჯანსა და ელისაბედს? არც მამაშვილური სიყვარული არსებობს - მომავალ სიძეს მოსე გძელაძემ ისე უმუხთლა, გასაკვირი არ იქნებოდა, ლუარსაბი ბოღმას უდანაშაულო ცოლზე თუ ამოიყრიდა და დარეჯანს ცხოვრებას ჯოჯოხეთად უქცევდა. მოსეს საერთოდ არ ანაღვლებს, რა ბედი ეწევა მის ქალიშვილს; მთავარია, თავიდან მოიცილოს და მზითევიც თავად დაინარჩუნოს. ნათლიდედა ბაბალე, რომლის კამეჩმაც მისივე ნათესავს ყანა გაუოხრა, ყველა ღონეს ხმარობს, რომ მას ზარალი არ აუნაზღაუროს - თუნდაც შიმშილით დაიხოცონ, არ ედარდება; როცა ადამიანებს თავიანთი ახლობლებიც კი არ უყვართ, ცხადია, ვერ შეძლებენ მოყვასის შეყვარებას და უამისოდ კი ვერც უფლის სიყვარულამდე ამაღლდებიან. მიუხედავად ამისა, თავი ყველას სამაგალითო ქრისტიანად მიაჩნია და ეს ყველაზე კარგად ლუარსაბის სიზმარში ჩანს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ილიას აზრით, უსიყვარულობა უღმერთობას ნიშნავს, რაც საზოგადოებას ჯერ სულიერად კლავს, მერე კი ფიზიკურადაც ანადგურებს, შესაბამისად, გადაუდებელი ზრუნვა იყო საჭირო ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

„გლახის ნაამბობში“, ჩვენი აზრით, ყველაფერი სწორედ ამ პრობლემის ირგვლივაა კონცენტრირებული. მოთხრობაში თითქმის არავის ესმის, რას ნიშნავს სიყვარული. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა მღვდელი თავისი სიტყვით თუ საქმით სწორედ ღვთისა და მოყვასის სიყვარულის მაგალითს აძლევს მრევლს, მისი მცდელობა მაინც უშედეგოა. მართალია, ადამიანები მისით მოხიბლულები არიან, უზომო პატივს სცემენ, აფასებენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, აღარავის ახსენდება არც მისი ქადაგება და არც პირადი მაგალითი. ძალიან დამახასიათებელია მღვდლის მიერ მუშის გადარჩენის ეპიზოდი. კაცი იხრჩობა, წყალს მიაქვს.

უამრავი ადამიანი ადევნებს თვალს ნაპირიდან ამ სანახაობას, სწორედ რომ სანახაობას, რადგან არავის მოსდის აზრად მისი გადარჩენა. მაგრამ როდესაც მღვდელი დაუყოვნებლივ გადაეშვება წყალში მისთვის სრულიად უცნობი ადამიანის დასახმარებლად, მაშინ კი რამდენიმე ახალგაზრდა მიბაძავს მის მაგალითს. გაბრიელის კითხვაზე - რამე რომ მოგსვლოდა, მოხუც დედას რა პასუხს აძლევდიო, მღვდელი პასუხობს: **„კაცი ირჩობა, ღვთის კერძო, შენსავით შვილი ერთის მამა-ღმერთისა, შენ კი გულ-ხელ-დაკრებილი დაჰყურებ, როცა იმის მორჩენა შეგიძლიან, სასახელოა?** ...როცა, ჩემო ძმაო, ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე-ღმერთისათვის მოგირიდებია პირი... სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი, გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხონებისა, აი, გასაღები სამოთხისა!“ (ჭავჭავაძე, 1988:173). გაბრიელმა მოისმინა ეს სიტყვები, თითქოს გულიც შეუძრა, მაგრამ საკუთარი ცხოვრების წესად ვერ აქცია.

გაბრიელი მოძღვარს უსაზღვროდ ემადლიერება, რადგან თვლის, რომ მან გონება გაუხსნა და პირუტყვული ყოფისაგან დაიხსნა. მისი აზრით, სწორედ მოძღვრის საუბრების კეთილისმყოფელი გავლენის შედეგია, რომ მას სიყვარული და ერთგულება შეუძლია; ხიბლავს „ვეფხისტყაოსნის“ გმირული სამყარო და ფიქრობს, რომ მასაც შეუძლია შერმადინობა გაუწიოს თავის ავთანდილს, მაგრამ როგორც მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს, მისი გრძნობებიც ზედაპირულია და არც მოვლენათა სიღრმისეული ანალიზის უნარი აქვს.

ავტორი რამდენჯერმე ათქმევინებს გაბრიელს, რომ დათიკო უყვარს. მისი გულისთვის მზადაა, ტყვიასაც უყოყმანოდ შეუშვიროს მკერდი, თუმცა მისი სიყვარული მხოლოდ ბატონის მამულის გულმოდგინე მოვლასა და მისი შემოსავლის გაზრდაზე ზრუნვაში გამოიხატება. ხედავს, რომ დათიკო არასწორად ცხოვრობს, უზნეო და უკეთურ ადამიანად ყალიბდება, მაგრამ ეს არ ცვლის მისადმი გაბრიელის დამოკიდებულებას - არათუ არაფერს აკეთებს დათიკოს შესაჩერებლად, მისი მხილებაც კი არ მოსდის აზრად და რაც ყველაზე უცნაურია, თავის უმოქმედობას დათიკოს სიყვარულითვე ამართლებს: **„მე რომ ის არ მყვარებოდა, ცუდად დავუმიწებდი იმ მოხდენილ მხარბეჭს, რომ ამოდენა სირცხვილი აჭამა ქვეყანასა!..“** (ჭავჭავაძე, 1988:179). გაბრიელს მხოლოდ მაშინ „დაავიწყდა“ დათიკოს სიყვარული, როცა მათი ინტერესები გადაიკვეთა: **„ჩემი გაუბედავობა, თუ იმისი სიყვარული, ჩემს გულს იმორჩილებდა იმ დრომდინ, მინამ მე და ის ერთს გზაზედ ერთმანეთს არ გადავეხარიხენით. ის მე არ ჩამომეცალა და არ ამიქცია გზა. მეც არ შევეპუე“** (ჭავჭავაძე, 1988:179-180).

გაბრიელს მოძღვარმა „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა კონკრეტული მიზნით დააწყებინა: „ბევრგან იმის სიტყვები გაჭირებაში გულს მოგფხანენ, **ჭირს გაგიადვილებენ, გულს და გონებას გაგიწვრთნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ“** (ჭავჭავაძე, 1988:161). სამწუხაროდ, გაბრიელის შემთხვევაში ასე არ მოხდა. ის პოემას კითხულობს, როგორც ამბავს, მაგრამ ვერ იმეცნებს ავტორის მთავარ გზავნილს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სადაც სოციალური უთანასწოროობა და ძალმომრეობა ბატონობს, იქ **სიყვარული, როგორც სულიერი თავისუფლებისა და თანასწოროობის უმაღლესი გამოვლინება, უბრალოდ ვერ იარსებებს**. ის ითელება, მახინჯდება და იქცევა იმავე ძალადობრივი მანქანის ნაწილად. გაბრიელის „სიყვარული“ არაფრით ჰგავს ტარიელისა და ავთანდილის ამაღლებულ გრძნობას - ის უფრო ვიწრო, ეგოისტური მესაკუთრეობაა, ვიდრე სიყვარული. დათიკოსთან დაპირისპირება ძალადობის წინააღმდეგ პროტესტი კი არა, საკუთრებაზე უფლების დაცვაა. ისევე, როგორც დათიკოსთვის, გაბრიელისთვისაც თამრო ლამაზი ნივთია, რომლის დაუფლებაც სურს. გავიხსენოთ, როდესაც თავის რჩეულზე საუბრობს გაბრიელი, მხოლოდ თამროს ფიზიკურ სილამაზეზე აკეთებს აქცენტს: „გოგო იყო, შენი ჭირიმე,

რომ თვალი ზედ დაგრჩებოდა: თეთრ-წითური, შავ-თვალ-წარბა, ტანწვრილი და მაღალი. ბევრი თავადის-შვილის ქალი ინატრებდა იმის ჯეირანივით მოღერებულ ყელსა, იმის გიშრის თვალსა, იმის გიშრის თმასა, ლერწამს ტანსა!.“ (ჭავჭავაძე, 1988:180).

გაცნობისას გაბრიელი დამფრთხალ თამროს ასე მიმართავს: „ქალო! რა მიგარბევინებს? მგელი ხომ არა ვარ, **ბიჭი ვარ, ადამიანი“** (ჭავჭავაძე, 1988:181). შეუძლებელია, ამ ფრაზამ არ გაგვახსენოს „ვეფხისტყაოსნიდან“ ავთანდილის სიტყვები, როცა ის ასმათის დამშვიდებას ცდილობს: „ეტყოდა: სულე, რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი“ (238, 1), მაგრამ რა შორსაა გაბრიელის „კაცობა“ ავთანდილისაგან!

როცა მის მომავალ ბედნიერებას საფრთხე დაემუქრება, ნაცვლად იმისა, რომ რამე იღონოს, გაბრიელი პასიური ლოდინის პოლიტიკას ირჩევს, ხოლო როცა მოსალოდნელი გართულებისათვის თვალის არიდება შეუძლებელი ხდება, დათიკოსთან ხვეწნა-მუდარით მიდის. წესით, მან უნდა იცოდეს, რომ დათიკო უკან არ დაიხევს, არც ხვეწნას ექნება მის თვალში ფასი, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ გონივრული გეგმა შეიმუშავოს, მარტივად წამოეგება პროვოკაციას და ციხეში ამოყოფს თავს. არადა, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან ტარიელის გამოცდილება უნდა გახსენებოდა - ნეტანის გათხოვების შესახებ სათათბიროდ რომ დაიბარეს, მართალია, სრულიად შეძრა რაინდი ხვარაზმელი სასიძოს მოწვევის ამბავმა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია:

„დამეშალა, ვერ დავშლიდი, დამრჩებოდა უმეცროზა;

თავსა ვუთხარ: მიემოწმე, ჟამად გიჯობს გულმაგრობა“ (539,3-4).

ტყვეობაში ყოფნისას გაბრიელი ძრწოლით ფიქრობს მომავალზე. მას ზარავს იმის წარმოდგენაც კი, რომ შეიძლება კაცის მოკვლა დასჭირდეს და ღმერთს ევედრება, თამრო ხელუხლებელი დაახვედროს. მიუხედავად ამისა, ვერ შეძლებს პეპიას უარი უთხრას და დაიფიცებს, რომ მის თხოვნას შეასრულებს: „შემომფიცე, რომ იმის დამღუპველს მზეს დაუბნელებ! **შემომფიცე, რომ ისე უზიარებლად და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე ვკვდები!** შემომფიცე! თუ ეგ ცოდვა იყოს, ამიღია კისრად“ (ჭავჭავაძე, 1988:208), - ამბობს პეპია. უცნაურია, რომ მშობელ მამასაც თამროს ბედზე მეტად შურისძიება და დათიკოს დასჯა აღელვებს. გაბრიელი მით უფრო არ თვლის საჭიროდ იმაზე ფიქრს, მოვლენათა ყველაზე ცუდად განვითარების შემთხვევაში, როგორ უნდა მოიქცეს თამროსთან მიმართებით.

გაბრიელი მოძღვარზე საუბრისას ვრცლად მსჯელობს, რომ მისმა საუბარმა მეუღლის ავადმყოფობით შეწუხებულ მოხუცებულ ქალთან მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთებინა: „თქვენ რომ როდისმე გაგჭირებოდათ, მაშინ შეიტყობდით - მწუხარისათვის, იმედგაწყვეტილისათვის ცარიელი სიტყვა, თუ ნამეტნავად იმ სიტყვაში გულის სითბო და სიმართლეც ურევია, მაშინ შეიტყობდით, - ის ცარიელი სიტყვა რა ტკივილის დამყუჩავი რამ არის!.. ასე გგონია, იმ სიტყვებმა ნახევარი ნაღველი თან წაიღესო, ისეთი ლოდი აგეცლება გულიდამ. **სიტყვა ხომ არაფერია და კაცს არაფრად უღირს, მაგრამ რამდენი კაცია ქვეყანაზედ — მომმესათვის ისიც არ ემეტება“** (ჭავჭავაძე, 1988:166). გაბრიელს აზრადაც არ მოსდის, რომ თვითონაც სწორედ ასეთია - როდესაც გასაჭირში ჩავარდნილი თამრო ნახა, მისთვის ერთი თბილი სიტყვაც კი ვერ გაიმეტა. როგორც თვითონვე ამბობს, „**ვკარ ხელი შეუბრალებლად იმ უბედურსა და მკერდიდამ, როგორც გველი, ისე მოვიშორე“** (ჭავჭავაძე, 1988:212).

გაბრიელი, მართალია, აცნობიერებს, რომ ადამიანების ძარცვა და მით უფრო კაცის კვლა უმძიმესი ცოდვაა, მაგრამ რატომღაც იმედი აქვს, რომ მშვიდი და ბედნიერი ცხოვრების შანსი არ

დაუკარგავს. მისივე თქმით, კახეთში გადახვეწის შემდეგ თავის ვინაობას სწორედ ამ მიზნით მალავს: „სიცოცხლე **ტკბილი იყო** ჩემთვისაც, როცა **იმედი მქონდა**, რომ ქვეყანაზედ მეც, როგორც იქნებოდა, შრომით თუ ოფლით ვიყიდდი ლუკმა პურსა და ისე დავლევდი წუთის-სოფლის დღესა“ (ჭავჭავაძე, 1988:139). წარმოუდგენელია „სიცოცხლე ტკბილი “ იყოს ადამიანისათვის, რომელმაც ძმასავით საყვარელი ადამიანი მოკლა და სატრფო გაწირა. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ იმ გრძნობას, რასაც პერსონაჟი „სიყვარულს“ უწოდებს, ნამდვილ სიყვარულთან საერთო არაფერი აქვს.

სიკვდილის წინ გლახას ოცნება აუხდება: აღსარების თქმის, ცოდვების მონანიებისა და წმინდა ზიარების მიღების საშუალება მიეცემა. მოინანია კაცის მოკვლა და რვა კაცის გაძარცვა, თუმცა თამროს გაწირვა არც გახსენებია. გაბრიელმა შესანიშნავად იცის, რომ თამრო დათიკოს უზნეობის უდანაშაულო მსხვერპლია; უმწეოსა და დაუცველს დათიკოსა და მისი დამქაშებისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა არ ჰქონდა; გაბრიელმა ისიც შესანიშნავად იცის, ასეთ შემთხვევაში როგორია ხოლმე მსხვერპლისადმი სოციუმის დამოკიდებულება - ნაცვლად იმისა, რომ დაჩაგრულს თანადგომა და დახმარება გაუწიონ, ყველა ხელს ჰკრავს უბედურს და უფსკრულისაკენ უბიძგებს. სავარაუდოდ, სწორედ თანასოფლელთა უგულობამ აიძულა თამრო, ქალაქის გზას დასდგომოდა (მოგვიანებით ეგნატე ნინოშვილი თავის მოთხრობებში ძალზე შთამბეჭდავად გვაჩვენებს, თუ როგორი ჯოჯოხეთი ელით ქალაქში თამროსნაირ გოგონებს). ძნელი სათქმელია, ელოდა თუ არა თამრო გაბრიელისაგან დახმარებას. „შემიბრალე და დამიტირე მე ბედშავიო“,- მხოლოდ ეს ითხოვა, მაგრამ გაბრიელს მისი შებრალებაც არ შეუძლია. ერთხელაც არ დაინტერესებულა, რა ბედი ეწია მის სატრფოს... ერთხელაც არ უნანია, რომ ზურგი აქცია და დახმარების ხელი არ გაუწოდა... ყველაფერს ინანიებს გაბრიელი ამის გარდა... მოუთმენლად ელის ზიარებას... უკანასკნელ წუთებში ზედიზედ ექვსჯერ მიმართავს მღვდელს სიტყვებით -„მაღირსე ზიარება“, მაგრამ ისე გარდაიცვლება, რომ ზიარება არ დასცალდება.

რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის, რომ ავტორმა გაბრიელი უზიარებლად დატოვა. საინტერესოა, რომ თხზულება შემდეგი ფრაზით სრულდებოდა: „თუმცა კაცის მკვლელი იყო, მაგრამ ყველამ იქ მდგომმა ერთხმადა შენდობა და საუკუნოდ განსვენება ვუთხარით“ (ჭავჭავაძე, 1988: 605). საბოლოო ვარიანტში ილიამ ეს წინადადება წაშალა, რადგან კაცი მხოლოდ თოფით კი არა, გულგრილობითა და ზიზღითაც შეიძლება მოვკლათ. გაბრიელმა უყოყმანოდ გაიმეტა სულით და ხორცით დასაღუპად თამრო - სრულიად უდანაშაულო ადამიანი, რომელიც თითქოსდა ქვეყანას ერჩივნა.

„გლახის ნაამბობი“ ხშირად განიხილება სოციალური უთანასწორობის, ბატონყმობის ნაშთებისა და ეროვნული ტკივილების კონტექსტში, მაგრამ ამ თხზულებაში ავტორი უდავოდ აყენებს ქალის მდგომარეობის, მისი უუფლებობის საკითხსაც. თამროს ტრაგედია არ არის მხოლოდ ერთი გლეხის ქალის უბედურება; ჩვენ ვხედავთ სისტემას, სადაც ქალი სრულად არის ობიექტივირებული; ის ნივთია, რომლითაც მანიპულირებენ, რომლის ღირსებაც ფეხქვეშაა გათელილი და რომელსაც თვითგადარჩენისთვის არანაირი რესურსი არ გააჩნია. სისტემის მთავარი ძალა სწორედ მაშინ ვლინდება, როდესაც ის მსხვერპლს საზოგადოების მხრიდან არა თანაგრძნობას, არამედ განკითხვასა და გარიყვას უტოვებს.

ილია ნაწარმოებში ძალიან კომპლექსურად აჩვენებს, თუ როგორ ითრგუნება ქალი არა მხოლოდ მამაკაცების, არამედ ზოგჯერ იმავე დამონებული საზოგადოების შიგნით არსებული

მყარი, ბრმა ტრადიციების მიერ. ქალის მიმართ ძალადობა აქ არ არის გამონაკლისი - ის ნორმაა, რომელსაც სოციალური წესრიგი ამართლებს.

ილია თავის დროზე არა მხოლოდ ზოგად სოციალურ უსამართლობაზე საუბრობდა, არამედ მან პირველმა დაინახა ის ღრმა გენდერული ტრაგედია, რომელიც მომდევნო ათწლეულების ქართულ რეალიზმში მთავარ მტკივნეულ თემად იქცა.

ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობში“ თამროს სახით დასახული დრამა ქართულ რეალისტურ პროზაში ქალთა ტრაგედიის ერთგვარი წინასწარმეტყველება და საწყისი ხაზია. მიუხედავად იმისა, რომ ილიასთან თამროს ბედი უცნობი რჩება, ტექსტის შინაგანი ლოგიკა და ეპოქის დაუნდობელი სოციალური წნეხი მკითხველს ზუსტად იმავე ტრაგიკულ ფინალს უწინასწარმეტყველებს, რასაც ათწლეულების შემდეგ ეგნატე ნინოშვილი სრული მხატვრული დამაჯერებლობით აჩვენებს „ქრისტინეში“. თამრო და ქრისტინე ერთი და იმავე პატრიარქალური და სოციალური მანქანის მსხვერპლნი არიან - ქალები, რომლებსაც სისტემა არა მხოლოდ არ იცავს, არამედ კოლექტიური მსჯავრითა და თანაგრძნობის სრული დეფიციტით საბოლოოდ განწირულებისკენ უბიძგებს.ბოროტების ბოროტებით დამარცხების მცდელობა კი მხოლოდ აგრძელებს ძალადობის იმ ჯაჭვს, რომელიც საბოლოოდ ანადგურებს როგორც ინდივიდს, ისე - მთელ საზოგადოებას.

ლიტერატურა:

1. მინაშვილი ვ., - ილია ჭავჭავაძე, თსუ-ს გამომცემლობა, 1995.
2. ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988.
3. ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად), ტ. X თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.
4. რუსთველი შ., - ვეფხისტყაოსანი (რედ. ა, ჭინჭარაული), თბილისი, 2011

Nana Pruidze
University of Georgia Tbilisi, Georgia
e-mail: nan.pruidze@ug.edu.ge
ORCID: 0009-0003-0358-2974
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.15
SJIF 2026: 8.679

lia ChavchavadzeToward Understanding the Problematics of *The Beggar's Tale* (*Glakhis Naambobi*)

Abstract

Ilia Chavchavadze's *The Beggar's Tale* is frequently examined within the context of social inequality, the remnants of serfdom, and national grief; however, in this work, the author undoubtedly raises the issue of women's status and their disenfranchisement as well.

First and foremost, the novella reveals the tragedy of a society devoid of love—a tragedy of people who consider themselves adherents of the Christian faith, yet have no comprehension of what it means to love God, one's neighbor, or humanity in general. Words remain mere words, as a rule, unaccompanied by deeds.Chavchavadze demonstrates with great complexity how women are oppressed not only by men, but also by rigid, blind traditions rooted within that very same subjugated society. Violence against women here is not an exception—it is a norm justified by the social order.

In *The Beggar's Tale*, Chavchavadze did not merely speak of general social injustice; he was among the first to recognize the profound gender tragedy that would become a central, painful theme in Georgian realism over the ensuing decades.

In *The Beggar's Tale*, Tamro's fate marks the starting point of the "woman question" in Georgian realist prose. Although Tamro's ultimate destiny remains unknown in Chavchavadze's text, the internal logic of the narrative and the ruthless social pressure of the era foreshadow the exact same tragic ending that Egnate Ninoshvili would portray with full artistic conviction decades later in *Kristine*. Tamro and Kristine are victims of the very same patriarchal and social machinery—women whom the system not only fails to protect, but ultimately pushes toward doom through collective condemnation and a complete deficit of empathy. Meanwhile, the attempt to defeat evil with evil merely perpetuates a chain of violence that ultimately destroys both the individual and society as a whole.

რეცენზენტი: პროფესორი ომარ გვეტაძე